



სს „გრინ დაზღვევა საქართველო“

წლიური ანგარიში

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ (ს/კ 404990435)

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - რაულ კახაძე

გენერალური დირექტორი - ეკა ცენტერაძე

ფინანსური დირექტორი - ლევან ელიაური

თანახმად:

საქართველოს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის მე-11 მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის 07 ოქტომბრის N181/04 ბრძანებისა


ვაგბადებთ, რომ

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება სწორად და სამართლიანად ასახავს ემიტენტის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობას და მოგება-ზარალს.
- სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ 2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს ემიტენტის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.


აღნიშნულს ვეთანხმებით და ვადასტურებთ ხელმოწერით:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

რაულ კახაძე



გენერალური დირექტორი - ეკა ცენტერაძე



ფინანსური დირექტორი - ლევან ელიაური




ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს გრინ დაზღვევა საქართველო

2024 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
მმართველობის ანგარიშგება	47

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს გრინ დაზღვევა საქართველოს აქციონერებს და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს გრინ დაზღვევა საქართველოს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად;

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითადი საკითხი

როგორ ვუპასუხეთ საკითხს ჩვენი აუდიტის პროცესში

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეფასება

შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ ფინანსური ანგარიშგების #5.2 შენიშვნა

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულება შეადგინს 862 ათასი ლარი. სადაზღვევო კონტრაქტებიდან მიღებული ვალდებულებები შეფასებულია ფასს 17-ის შესაბამისად.

კომპანია ყველა გაცემული სადაზღვევო პოლისისთვის და ყველა ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტებისთვის იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას.

კომპანიამ არაფინანსური რისკის კორექტირების განსაზღვრისთვის გამოიყენა Value at Risk (VaR) მეთოდოლოგია. VaR მეთოდი ეფუძნება მოკლევადიანი სადაზღვევო კონტრაქტებისთვის, სადაც ზარალის მერყეობა ზომიერია და ექსტრემალური ზარალების შემთხვევები (ე.წ. Tail risk) გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. კომპანიას არ

ჩვენი პროცედურები ამ საკითხზე საპასუხოდ მოიცავდა შემდეგს:

- შევაფასეთ სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების განსაზღვრისთვის, კომპანიაში არსებული პროცესი და შიდა კონტროლის სისტემა.
- აუდიტორული შერჩევის საფუძველზე შევამოწმეთ სადაზღვევო კონტრაქტებისა და მათთან დაკავშირებული სადაზღვევო ზარალების სისწორე, სისრულე და საანდოობა პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის (რომელიც მოიცავს სადაზღვევო პოლისებს, სადაზღვევო ზარალების დარეგულირების აქტებსა და გადახდის ბრძანებებს) ინსპექტირების გზით.
- განვსაზღვრეთ, სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების მენეჯმენტის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდები და მიდგომები რამდენად თანხვედრაშია არსებულ

აქვს ისეთი სადაზღვევო პროდუქტები რომელიც მნიშვნელოვან გრძელვადიან რისკებს შეიცავს.

რისკის კორექტირების გადათვლისას, კომპანია იყენებს ისტორიულ ზარალის მონაცემებს. Value at Risk (VaR) განსაზღვრისთვის კომპანია იყენებს არაპარამეტრულ ისტორიულ სიმულაციას 85%-იანი საიმედოობის დონეზე. რისკის კორექტირება (RA) განისაზღვრება, როგორც 85%-იანი საიმედოობის დონეზე შეფასებულ VaR-სა და მოსალოდნელ (საშუალო) ზარალის ოდენობას შორის სხვაობა.

სადაზღვევო კონტრაქტებიდან დამდგარი ზარალების შეფასებისას ფულის დროებითი ღირებულებისა და ფინანსური რისკის ეფექტი არ არის გათვალისწინებული, რადგან პრემიის გადახდის პერიოდი და მასთან დაკავშირებული მომსახურების ვადა 12 თვეს არ აღემატება.

მოცემული საკითხი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რადგან პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით (PAA) შეფასებული გაცემული სადაზღვევო კონტრაქტების ვალდებულებები მოიცავს არსებით და კომპლექსურ დაშვებებს.

აქტუარულ პრაქტიკასთან და ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებასთან.

4. განვიხილეთ და შევაფასეთ მენეჯმენტის მიერ რისკის კორექტირების განსაზღვრის გამოყენებული მეთოდოლოგიისა და დაშვებების გონივრულობა და დასაბუთებულობა.
5. ჩავატარეთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ზარალების ანაზღაურების მოდელის ადეკვატურობის ტესტი. შევისწავლეთ ისტორიული მონაცემები და მოვამზადეთ მგრძნობელობის ანალიზი, რითაც განვსაზღვრეთ მიღებული შედეგების ადეკვატურობა.
6. ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურებზე დაყრდნობით, მენეჯმენტის მიერ სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეფასებისას გამოყენებული დაშვებები გონივრულია.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის ვახტანგ ცაბაძე, აუდიტორის რეგისტრაციის N - SARAS-A-774309.

შპს გრანტ თორნტონის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

17 მარტი 2025




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	3,490	2,409
ბანკებში განთავსებული თანხები	7	13,415	11,629
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	8	109	86
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	8	223	224
გაცემული სესხები	9	1,873	2,035
წინასწარ გადახდილი გადასახადები		20	-
ძირითადი საშუალებები		37	49
არამატერიალური აქტივები		29	40
აქტივი გამოყენების უფლებით	10	143	51
სულ აქტივები		19,339	16,523
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	10,051	10,051
საემისიო კაპიტალი		51	51
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		7,403	4,297
		17,505	14,399
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	8	862	927
საიჯარო ვალდებულებები	12	145	53
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	827	859
საგადასახადო ვალდებულებები		-	285
		1,834	2,124
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,339	16,523

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2025 წლის 17 მარტი:

ეკა ცენტერაძე

გენერალური დირექტორი




ლევან ელიაური

ფინანსური დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11-45 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
სადაზღვევო შემოსავალი	14	3,826	4,291
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	15	(653)	(962)
წმინდა ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	16	(372)	(333)
წმინდა მოზიდული პრემია		2,801	2,996
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	17	1,367	870
სხვა შემოსავალი		14	22
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18	(1,539)	(1,513)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(16)	(11)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	19	479	(41)
მოგება დაბეგვრამდე		3,106	2,323
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(320)
მოგება დაბეგვრამდე		3,106	2,003
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		3,106	2,003

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 11-45 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	10,051	51	2,294	12,396
წმინდა მოგება	-	-	2,003	2,003
პერიოდის სრული მოგება	-	-	2,003	2,003
2023 წლის 31 დეკემბერი	10,051	51	4,297	14,399
წმინდა მოგება	-	-	3,106	3,106
პერიოდის სრული მოგება	-	-	3,106	3,106
2024 წლის 31 დეკემბერი	10,051	51	7,403	17,505

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 11-45 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მიღებული სადაზღვევო პრემია	8	3,237	3,525
შემოსავალი რეგრესიდან	8	31	459
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		(3)	(95)
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	8	(185)	(797)
გადახდილი ვალდებულებების არსებული ვალდებულებების დაფარვა	8	(377)	(339)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	8	(176)	(268)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი		(694)	(576)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(556)	(80)
ადმინისტრაციული და სხვა გადახდილი ხარჯები		(222)	(460)
მიღებული პროცენტი		209	725
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,264	2,094
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
საბანკო ანაბრებზე თანხების განთავსება		214	1,152
საბანკო ანაბრების თანხების გამოტანა		(800)	(1,453)
სესხის გაცემა		-	(2,000)
გაცემული სესხის დაბრუნება		465	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(121)	(2,301)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაფარვა	12	(62)	(59)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(62)	(59)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ცვლილება		1,081	(266)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		2,409	2,675
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი		3,490	2,409

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 11-45 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს გრინ დაზღვევა საქართველო (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა 2013 წლის 13 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ეწევა სადაზღვევო საქმიანობას და მომხმარებლებს სთავაზობს სახმელეთო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა, უბედური შემთხვევების, ქონების, პასუხისმგებლობის და სხვა ტიპის დაზღვევას.

კომპანია არის სააქციო საზოგადოება, 2015 წლის 7 დეკემბრამდე ის იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია საქმიანობს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ანა კალანდაძის ქუჩა # 4, თბილისი, საქართველო.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებულ აქციათა რაოდენობა კლასების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად: A კლასი - 4,350,000 ცალი, AA კლასი - 1,650,000 ცალი, B კლასი - 4,051,059 ცალი. ყველა კლასის აქციის ნომინალური ღირებულება 1 (ერთი) ლარია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის A და AA კლასის აქციების მესაკუთრე იყო: სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია - 100%, ხოლო B კლასის აქციების მესაკუთრეები: სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია - 93.061%, სს მეტრო ატლას ჯორჯია - 4.443%, სს მეტრო ქონსტრაქშენ 2.468% და სხვა ნომინალური მფლობელები - 0.028%.

კომპანიას სადაზღვევო ლიცენზია მიენიჭა 2013 წლის 11 ოქტომბერს, ლიცენზიის სერტიფიკატის ნომერია #NL013, გამოშვებულია სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №05/4-ლ-ის მიხედვით კომპანიას მიენიჭა სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია 2020 წლის 2 ნოემბერს.

კომპანიის მმართველი ორგანოა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო. ყოველდღიური აქტივობები კომპანიაში კონტროლდება გენერალური დირექტორის მიერ. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გენერალური დირექტორია ეკა ცენტურაძე.

კომპანიის უმაღლეს მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს ათენ ოზთურქ უნალ, თურქეთის მოქალაქე.

2 ბიზნეს გარემო

2022 წლის თებერვლიდან რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც კონფლიქტის მონაწილე ქვეყნებზე, ასევე მსოფლიო ეკონომიკაზე. მსოფლიოს ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ფინანსურმა გაერთიანებამ დააწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, მათ შორის სანქციები შეუხო რუსული ბანკებს, რუსული ეროვნული გადაზღვევის კომპანიებს, სხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებს. ომი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში.

ვინაიდან საომარი მოქმედებები ჯერ არ შეწყვეტილა, შეუძლებელია მისი საბოლოო გავლენის საიმედოდ შეფასება როგორც საქართველოს ბიზნეს გარემოზე, ასევე კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აანალიზებს არსებულ ეკონომიკურ გარემოს. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

3 შედგენის საფუძველი

3.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (IFRIC) მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების შესაბამისად.

3.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

3.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე.

3.4 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოცემული იყო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("IASB") და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ("IFRIC") მიერ, რომლებიც შესაბამისობაშია მის ოპერაციებთან და ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლის საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ამ ცვლილებების ბუნება და ეფექტი მოცემულია ქვემოთ.

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაშია 1 იანვრიდან ან შემდეგი პერიოდებისთვის

ახალ სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ და პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს, ან ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)*
- *საიჯარო ვალდებულებები გაყიდვა უკუიჯარის პირობით (ცვლილება ფასს 16-ში)*
- *მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები (ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში)*
- *გრძელვადიანი ვალდებულებები შეზღუდვებით/კოვენანტებით (ცვლილება ბასს 1-ში)*

3.5 სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომელიც ჯერ არ დაუნერგავს კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსური ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან, ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

- *გაცვლის საშუალებების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები)*
- *ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასებაში (ფასს 9-სა და ფასს 7-ის შესწორებები)*
- *ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში*

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

4.1 სადაზღვევო ხელშეკრულებები

4.1.1 კლასიფიკაცია

სადაზღვევო ხელშეკრულებები წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზეც „კომპანია“ იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს სხვა მხარისგან („დაზღვეული“), იმის შესახებ რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც უარყოფითად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებელზე, კლასიფიცირდება როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებები.

სადაზღვევო რისკი კლასიფიცირდება მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ, როდესაც სადაზღვევო შემთხვევამ „კომპანიისთვის“ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურების ვალდებულება. სადაზღვევო კონტრაქტები ასევე შეიძლება ატარებდეს ფინანსური რისკს. ფინანსური რისკი არის განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საქონლის ფასის, უცხოური ვალუტის კურსის, ფასის ან განაკვეთების ინდექსში, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის ან სხვა ცვლადის შესაძლო ცვლილების რისკი, რომელიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით.

კომპანია არ ფლობს გამოშვებულ გადაზღვევის კონტრაქტებს.

კომპანია არ ფლობს პირდაპირი მონაწილეობის პირობების მქონე სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

როცა კონტრაქტები კლასიფიცირდება როგორც სადაზღვევო ხელშეკრულება, ის რჩება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი სიცოცხლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება ამ პერიოდის განმავლობაში, თუ ყველა უფლება და მოვალეობა არ ქრება ან არ ამოიწურება.

4.1.2 კომპონენტების გამიჯვნა სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტებიდან

კომპანია აფასებს არასიცოცხლის დაზღვევისა და გადაზღვევის პროდუქტებს, რათა დაადგინოს, განსხვავებული კომპონენტები, რომელიც შეიძლება აღირიცხოს სხვა ფასს-ით, ნაცვლად ფასს 17-ისა. ნებისმიერი განსხვავებული კომპონენტის გამოყოფის შემდეგ, კომპანია იყენებს ფასს-17-ს ყველა დანარჩენ სადაზღვევო ხელშეკრულებაზე. კომპანიის სადაზღვევო პროდუქტები არ შეიცავს რაიმე განსხვავებულ კომპონენტს, რომელიც საჭიროებს გამიჯვნას.

4.1.3 აგრეგირების დონე

კომპანიამ უნდა განსაზღვროს სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელი. პორტფელი შედგება ისეთი ხელშეკრულებებისგან, რომლებიც მსგავს რისკებს ექვემდებარება და ერთად იმართება. ივარაუდება, რომ ერთი პროდუქტის ხაზის ფარგლებში ხელშეკრულებებს მსგავსი რისკები ექნებათ და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ერთი და იგივე პორტფელს მიეკუთვნება, თუკი საწარმო მათ ერთად მართავს. პორტფელი შემდგომში იყოფა გამოშვების წლის და მომგებიანობის მიხედვით აღიარებისა და შეფასების მიზნით. გაერთიანების დონის არც ერთი ჯგუფი არ შეიძლება შეიცავდეს ერთ წელზე მეტი ინტერვალით გაცემულ კონტრაქტებს. კონტრაქტების ჯგუფის მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელით, რომლებიც ითვალისწინებენ არსებულ და ახალ ბიზნესს. შესაბამისად, გამოშვების ყოველი წლის განმავლობაში, კონტრაქტების პორტფელი იყოფა სამ ჯგუფად, შემდეგნაირად:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანია, ასეთის არსებობისას;
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წამგებიანი, ასეთის არსებობისას; და
- პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი, ასეთის არსებობისას.

კომპანიამ გამოყო შემდეგი პორტფელები სადაზღვევო კონტრაქტებიდან:

- ავტომატოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა;

- სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა;
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები
- სამშენებლო რისკების დაზღვევა
- სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა
- ტვირთების დაზღვევა
- ქონების დაზღვევა
- მანქანა-დანადგარების დაზღვევა
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა
- სახმელეთო გადაზიდვების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა
- სამოგზაურო დაზღვევა
- სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა

კომპანიის დაშვებით, პორტუგალიაში არცერთი კონტრაქტი არ არის წამგებიანი თავდაპირველი აღიარებისას, თუ ფაქტები და გარემოებები სხვაგვარად არ მიუთითებენ. იმ კონტრაქტებისთვის, რომლებიც არ არის წამგებიანი, კომპანია თავდაპირველი აღიარებისას, უშვებს რომ, არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წამგებიანი, რელევანტური ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ალბათობის შეფასებით. კომპანია განიხილავს ფაქტებსა და გარემოებებს იმის დასადგენად, არის თუ არა კონტრაქტების ჯგუფი წამგებიანი, შემდეგი ინდიკატორების შეფასების გზით:

- ინფორმაციას ფასებზე;
- უკვე აღიარებული მსგავსი ტიპის კონტრაქტების შედეგები;
- გარემო ფაქტორები, მაგალითად ბაზრის გამოცდილების ან რეგულაციების ცვლილება.

კომპანია გადაზღვევის კონტრაქტებსაც ყოფს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპის გამოყენებით.

4.1.4 აღიარება

საწარმომ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თვითონ უშვებს, უნდა აღიაროს შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;
- თარიღი, როდესაც ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფში უნდა განხორციელდეს რომელიმე პოლისის მფლობელისგან პირველი გადახდა; და
- წამგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, თარიღი, როდესაც მოცემული ჯგუფი ხდება წამგებიანი.

კომპანიამ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებები, უნდა აღიაროს ქვემოთ მოცემული თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღით:

- გადაზღვევის კონტრაქტების პერიოდის დასაწყისში. თუმცა, კომპანია აჭიანურებს გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფის აღიარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ პროპორციულ დაფარვას იმ თარიღამდე, სანამ სადაზღვევო ხელშეკრულება პირველად იქნება აღიარებული, თუ ეს თარიღი უფრო გვიანია, ვიდრე გადაზღვევის ხელშეკრულების დასაწყისი;
- თარიღი როდესაც კომპანია აღიარებს წამგებიან სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, თუ კომპანიამ გააფორმა შესაბამისი გადაზღვევის ხელშეკრულება, იმავე თარიღში ან უფრო ადრე;

კომპანია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში იმ ახალ კონტრაქტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც, პერიოდულად ამატებს სადაზღვევო და გადაზღვევის ჯგუფებში.

4.1.5 ხელშეკრულების ფარგლები

სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ყველა მომავალ ფულად ნაკადს ჯგუფის თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში. ფულადი ნაკადები გათვალისწინებულია ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიქმნება არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდში, როდესაც კომპანიას შეუძლია აიძულოს დამზღვევი გადაიხადოს პრემიები, ან როდესაც კომპანიას აქვს არსებითი ვალდებულება უზრუნველყოს პოლისის მფლობელისთვის სადაზღვევო მომსახურების გაწევა. სადაზღვევო კონტრაქტის მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება სრულდება, როცა:

- კომპანიას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, ხელახლა შეაფასოს კონკრეტული დაზღვეულის რისკები და, შედეგად, შეუძლია დაადგინოს ფასი ან სარგებლის დონე, რომელიც სრულად ასახავს ამ რისკებს
- კომპანიას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, ხელახლა შეაფასოს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის რისკები, რომლებიც შეიცავს კონტრაქტს და, შედეგად, შეუძლია დაადგინოს ფასი ან სარგებლის დონე, რომელიც სრულად ასახავს ამ პორტფელის რისკს და პრემიების ფასს. რისკების ხელახალი შეფასების თარიღამდე არ ითვალისწინებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ხელახალი შეფასების თარიღის შემდგომ პერიოდებთან

სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ მოსალოდნელ პრემიებთან ან ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულება ან აქტივი არ არის აღიარებული. ასეთი თანხები ეხება მომავალ სადაზღვევო კონტრაქტებს.

4.1.6 შეფასება

სადაზღვევო კონტრაქტები – თავდაპირველი აღიარება

კომპანია მისი ყველა სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტისთვის იყენებს *პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ* მიდგომას, რადგან:

- ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი, მათ შორის, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც განეკუთვნება ხელშეკრულების ფარგლებს, შეადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს;
- ერთ წელზე ხანგრძლივ კონტრაქტებზე კომპანიამ შეაფასა სამომავლო შესაძლო სცენარების მოდელირება და გონივრულად მოელის, რომ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფისთვის, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება, პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით შეფასებისას, არსებითად არ განსხვავდება იმ გაზომვისგან, რომელიც წარმოიქმნება ზოგადი მოდელით შეფასების შემთხვევაში. მატერიალურობის შეფასებისას კომპანიამ ასევე გაითვალისწინა ისეთი ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა რისკის ბუნება და მისი საქმიანობის სფეროები.

კომპანიის ყველა სახის სადაზღვევო (გარდა, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიებისა და სამშენებლო რისკების დაზღვევისა) და გადაზღვევის პროდუქტების დაფარვის პერიოდი არის ერთი წელი ან ნაკლები, შესაბამისად, შეფასდა პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიებისა და სამშენებლო რისკების დაზღვევის დაფარვის პერიოდი არის ერთ წელზე მეტი, თუმცა არ არსებობს მატერიალური განსხვავება პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით და ზოგადი მოდელის დათვლილ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებებს შორის, შესაბამისად მოცემული კონტრაქტებიც შეფასდა პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით.

იმ კონტრაქტებზე, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ არის წამგებიანი, კომპანია დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად:

- თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის მიღებული პრემიები, ასეთის არსებობისას;
- მიწის დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები ამ თარიღისთვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო გადაწყვეტს ამ გადახდების აღიარებას ხარჯის სახით;

- პლუს ან მინუს ნებისმიერი თანხა, რომელიც წარმოიშობა ამ თარიღისთვის, დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად;
- ნებისმიერი სხვა აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შედეგად, რომელიც ადრე აღიარდა ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან მიმართებით;

რადგან ყველა სადაზღვევო პროდუქტის პრემიების დაფარვის პერიოდი არის ერთი წელი ან ნაკლები, კომპანია არ ითვალისწინებს ფულის დროში ღირებულების ეფექტს.

როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ, რომ კონტრაქტები წამგებიანია თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია აკეთებს დამატებით ანალიზს იმის დასადგენად, მოსალოდნელია თუ არა ხელშეკრულებიდან წმინდა გადინება. წამგებიანი კონტრაქტები ცალ-ცალკე ჯგუფდება სხვა კონტრაქტებისაგან და კომპანია აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში წმინდა გადინებისთვის, რის შედეგადაც ჯგუფისთვის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება შესრულების ფულადი ნაკადებს. ზარალის კომპონენტს ადგენს კომპანია წამგებიანი კონტრაქტების ჯგუფის დარჩენილი დაფარვის ვალდებულებისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალს.

ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტები – თავდაპირველი შეფასება

კომპანია ფლობილ გადაზღვევის კონტრაქტებს აფასებს იმავე პრინციპით, როგორც გაცემულ სადაზღვევო კონტრაქტებს.

როდესაც კომპანიის ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტები წამგებიანია თავდაპირველი შეფასებისას ან წამგებიანი კონტრაქტი ემატება ჯგუფს, კომპანია განსაზღვრავს აქტივის დანაკარგის კომპონენტს გადაზღვეული კონტრაქტების დარჩენილი დაფარვის ვალდებულებისთვის.

კომპანია ზარალის ანაზღაურების კომპონენტს განსაზღვრავს სადაზღვევო კონტრაქტებზე აღიარებული ზარალისა და მიმდინარე სადაზღვევო კონტრაქტებზე ზარალის პროცენტის გამრავლებით. კომპანია იყენებს სისტემურ და რაციონალურ მეთოდს ჯგუფზე აღიარებული ზარალის დასადგენად სადაზღვევო კონტრაქტებზე, რომლებიც გადაზღვეული და სადაზღვევო კონტრაქტებზე რომელიც არ არის გადაზღვეული.

ზარალის ანაზღაურების კომპონენტი აკორექტირებს დარჩენილი მომსახურების პერიოდის აქტივს

სადაზღვევო კონტრაქტები – შემდგომი შეფასება

თითოეული მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული საბალანსო ღირებულება:

- პლუს პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემია;
- მინუს დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო გადაწყვეტს ამ გადახდების ხარჯის სახით აღიარებას;
- პლუს ნებისმიერი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციასთან და საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია ხარჯის სახით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო გადაწყვეტს დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ხარჯის სახით აღიარებას;
- პლუს დაფინანსების კომპონენტის ნებისმიერი კორექტირების თანხა, რომელიც განხორციელდა;
- მინუს თანხა, რომელიც აღიარებულია სადაზღვევო ამონაგების სახით მოცემული პერიოდის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- მინუს ნებისმიერი საინვესტიციო კომპონენტი, რომელიც გადახდილია ან გადატანილია დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შემადგენლობაში.

კომპანია აფასებს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებას, გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულადი

ნაკადები აერთიანებს, მიუკერძოებლად, ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესახებ, ისინი ასახავს მიმდინარე შეფასებებს კომპანიის პერსპექტივიდან და მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას (რისკის კორექტირება). კომპანია არ ახდენს სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირებას ფულის დროული ღირებულებისა და ფინანსური რისკის ეფექტით, რადგან მოსალოდნელია რომ ზარალები გადაიხდება წარმოშობიდან ერთი წლის განმავლობაში.

როდესაც დაფარვის პერიოდის განმავლობაში, ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ, რომ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფი წამგებიანია, კომპანია აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში, რის შედეგადაც ჯგუფისთვის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტები – შემდეგომი შეფასება

ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტებს კომპანია აფასებს იმ პრინციპით, როგორც გაცემულ სადაზღვევო კონტრაქტებს.

4.1.7 დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოიშობა სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის (რომლებიც უკვე გამოცემულია ან რომლის გამოცემა მოსალოდნელია) გაყიდვასთან, ანდერრაიტინგთან და ფორმირებასთან დაკავშირებული დანახარჯებიდან, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელთან, რომელსაც განეკუთვნება მოცემული ჯგუფი.

- სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადები რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფთან;
- სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადები რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელთან, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პორტფელში შემავალ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან ან სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებთან

სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადები რომელიც გადახდილია ან წამოიშვა სადაზღვევო კონტრაქტების შესაბამისი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებამდე, დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებიდან წარმოშობილი აქტივი აღიარდება თითოეული ჯგუფისთვის.

დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების აქტივი ამოიცნობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, როდესაც სადაზღვევო შეძენის ფულადი ნაკადები შედის სადაზღვევო კონტრაქტების შესაბამისი ჯგუფის საწყის შეფასებაში.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადების ოდენობებს, რომლებიც განაწილებულია იმ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებზე, რომლებიც ჯერ არ არის აღიარებული, რათა შეიტანოს ცვლილებები განაწილების მეთოდში.

კომპანია აფასებს ამოღებადობას, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, აქტივის შეიძლება გაუფასურდეს. ამოღებადობის შეფასებისას კომპანია იყენებს შემდეგ მდგომარეობებს:

- გაუფასურების ტესტს სადაზღვევო კონტრაქტების არსებულ ან მომავალ ჯგუფებზე;
- დამატებით გაუფასურების ტესტს, რომელიც ფარავს სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტების მოსალოდნელ განახლებასთან.

გაუფასურების რეზერვით კორექტირდება აქტივის საბალანსო ღირებულება და გაუფასურების ხარჯი ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია აღიარებს გაუფასურების ხარჯის რევერსალს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, როდესაც აქამდე არსებული გაუფასურების ინდიკატორები აღარ არსებობს ან გაუმჯობესებულია.

4.1.8 მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ხელშეკრულება შეწყდება ე.ი. როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება;
- კონტრაქტი შეცვლილია ისე, რომ მოდიფიკაცია იწვევს შეფასების მოდელის ან ხელშეკრულების კომპონენტის არსებული სტანდარტის ცვლილებას, არსებითად ცვლის ხელშეკრულების საზღვრებს ან მოითხოვს შეცვლილი კონტრაქტის სხვა ჯგუფში ჩართვას. ასეთ შემთხვევებში კომპანია წყვეტს თავდაპირველ კონტრაქტს და აღიარებს მოდიფიცირებულს ახალ კონტრაქტად.

როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, კომპანია აღიარებს მოდიფიკაციის შედეგად გადახდილ ან მიღებულ თანხებს სადაზღვევო კონტრაქტების დარჩენილი პერიოდის ვალდებულების კორექტირების სახით.

4.1.9 წარდგენა

საწარმო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს შემდეგ ინფორმაციას: საწარმოს მიერ გაცემულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს; საწარმოს მიერ გამოშვებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს; ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს; და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებებს.

საწარმომ გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისი პორტფელის საბალანსო ღირებულების გამოთვლაში უნდა გაითვალისწინოს აქტივები, მიმართებით, ხოლო ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან მიმართებით აღიარებული ყველა აქტივი ან ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების პორტფელის საბალანსო ღირებულების გამოთვლაში.

კომპანია ანაწილებს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგებს, რომელიც მოიცავს სადაზღვევო ამონაგებს და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს; და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს.

კომპანია არ ანაწილებს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხებს ზემოაღნიშნულის ანალოგიურად: თუ საწარმო არ წარმოადგენს ამგვარ ღეზაგრეგირებულ ინფორმაციას, მან არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის მთლიანი ცვლილება უნდა ასახოს, როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილი.

საწარმო ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ შემოსავალსა და ხარჯებს წარადგენს გამოშვებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯებისა და შემოსავლისგან განცალკევებით.

4.1.10 სადაზღვევო ამონაგები

სადაზღვევო ამონაგები არის პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობა. კომპანიამ მოსალოდნელ სადაზღვევო პრემიას ანაწილებს სადაზღვევო კონტრაქტის პერიოდზე დროის გასვლის პროპორციულად. თუ მოსალოდნელია რომ რისკის წარმოშობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება დროის გასვლის პროპორციისგან, მაშინ გადანაწილება ხდება მოსალოდნელი სადაზღვევო ზარალის პროპორციით.

იმ შემთხვევაში თუ იცვლება ფაქტები და გარემოებები, კომპანია ცვლის ზემოთ მოცემულ ორ მეთოდს შორის განაწილების საფუძველს ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში

კომპანიამ ყველა სადაზღვევო ამონაგები შეაფასა დროის გასვლის პროპორციით

4.1.11 სადაზღვევო მომსახურების ხარჯი

კომპანიამ მოგებაში ან ზარალში წარადგინა გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებით წარმოშობილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯები, რომელიც მოიცავს

- დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს და სხვა სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს;
- სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას, კომპანია აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას ახორციელებს წრფივი მეთოდით კონტრაქტის მომსახურების პერიოდის განმავლობაში;
- შემოსავალი რეგრესული მოთხოვნებიდან

4.1.12 გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა შემოსავალი/(ხარჯები)

გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა შემოსავალი/(ხარჯები) შედგება გადახდილი გადაზღვევის პრემიას მინუს ამონაგები გადაზღვევისგან.

4.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულის ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებებს აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება შეფასება“-ს.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: შეფასება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით შეფასებული. ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფასს 9 აუქმებს ბასს 39-ის დაფარვის ვადამდე ფლობილის, სესხებისა და მოთხოვნებისა და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს. ფასს 9-ის მიხედვით, იმ ხელშეკრულებებში შეტანილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც ძირითად ელემენტს ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მოქმედების სფეროში არსდროს არ განცალკევდება. ამისა ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტები მის მთლიანობაში.

ფასს 9 უმეტესწილად იწარჩუნებს ბასს 39-ის, ფინანსური ვალდებულებების შეფასებისა და კლასიფიკაციის მოთხოვნებს.

ფასს 9-ს არ ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე.

ფინანსური აქტივებისა გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლეს ბასს 39-ის “გაწეული ზარალის” მოდელს “მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის” მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სახელშეკრულებო აქტივებზე.

ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის ფარგლებში აქტივებისთვის მოსალოდნელია, რომ გაუფასურების ზარალები გაიზრდება და გახდება უფრო არასტაბილური. კომპანიამ დაადგინა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენებამ 2022 წლის 1 იანვრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაზე და მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე.

4.3 ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

4.4 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და ერთი ევრო 2.9753 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის აღრიცხვა 2024 წლის 1 იანვრამდე

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არ იხეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი

წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში. მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს

მოგების გადასახადის აღრიცხვა 2024 წლის 1 იანვრიდან

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის გადახდის წესებში, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ვრცელდება სადაზღვევო კომპანიებზე. ახალ საგადასახადო მოდელთან დაკავშირებული ცვლილებები სხვა ტიპის სუბიექტებისთვის (გარდა ფინანსურ სექტორში მოღვაწე კომპანიებისა) 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს.

ახალი მოდელი გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2024 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიები (როგორც სხვა სექტორში მოღვაწე კომპანია) გადაიხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.). მოგების განაწილება იხდებოდა 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2024 წლის 1 იანვრიდან.

4.6 ფული საბანკო ანგარიშებზე და საბანკო ანაბრები

ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

საბანკო ანაბრები მოიცავს თანხებს განთავსებულს საბანკო ანგარიშებზე, საიდანაც კომპანია იღებს დამატებით სარგებელს.

4.7 გაცემული სესხები

გაცემული სესხები არის ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდის პირობით, რომელიც კომპანია გაცემს ფულის სახით მსესხებელზე.

4.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

4.9 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

- კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული

ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივისგამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

4.10 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

სხვადასხვა კლასის აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დაგროვილი მოგება

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგებას.

ღივიდენდები

ღივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. ღივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია აქციონერებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

5 მნიშვნელოვანი მსჯელობები და სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

5.1 მსჯელობები

სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტების აგრეგირების დონე

კომპანია განსაზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელს და გამოყოფს თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანი კონტრაქტების ჯგუფს და კონტრაქტებს რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვთ მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდებიან წამგებიანი. წამგებიანი კონტრაქტების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით. ზარალის ანაზღაურების ნებისმიერი კომპონენტი განისაზღვრება სადაზღვევო კონტრაქტებზე აღიარებულ ზარალის კომპონენტთან და ასეთ ზარალზე მოსალოდნელი ანაზღაურების მითითებით გადაზღვევის კონტრაქტებიდან.

სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტების შეფასება

კომპანია სადაზღვევო კონტრაქტების შეფასებისას იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასება პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება აქამდე არსებული ფასს 4-ის მიდგომისგან. დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებისას კომპანია ადისკონტირებს მომავალ ფულად ნაკადებს ფულის დროში ღირებულების გათვალისწინებით, იმ ზარალებზე რომელზეც მოსალოდნელია რომ დაფარვა მოხდება ერთ წელზე მეტი პერიოდის შემდეგ და ითვალისწინებს არაფინანსური რისკი კორექტირების ეფექტს.

სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულადი ნაკადები

კომპანია სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულადი ნაკადების გადანაწილებას სადაზღვევო კონტრაქტებზე ახდენს სისტემური და რაციონალური მეთოდების გამოყენებით. მოცემული გულისხმობს კომპანიის შეფასებებს სადაზღვევო კონტრაქტებზე გამოყოფილი თანხების შესახებ, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება ჯგუფში არსებული სადაზღვევო კონტრაქტების განახლებიდან და ამ პერიოდში გაცემული ახალი კონტრაქტებიდან.

5.2 განუსაზღვრელობის დამშვებები და შეფასებები

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება

აკვიზიციის ფულადი ნაკადები და აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია გათვალისწინებულია დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების გაანგარიშებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია განიხილავს არსებულ დამშვებებს და საჭიროების შემთხვევაში, აკორექტირებს აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივს, შესაბამისად.

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებები ფასდება ზარალის კოეფიციენტის მეთოდით.

მოცემული მეთოდით შეფასებისას კომპანია იყენებს წარსული ზარალიანობის განვითარების გამოცდილებას, მომავალი ზარალის მაჩვენებლის განსაზღვრისთვის. ეს მეთოდები ექსტრაპოლაციას უწევს გადახდილი და დამდგარი ზარალების განვითარებას, საშუალო დანახარჯებს თითო ზარალზე (ზარალების განხილვის ხარჯების ჩათვლით) და ზარალების რაოდენობას და მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტს.

დისკონტის განაკვეთი

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების ვალდებულების და დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასება არ მოიცავს კორექტირებას ფულის დროითი ღირებულების ასახვით, რადგან პრემიის დაფარვის თარიღი და მომსახურების შესაბამისი პერიოდი 12 თვეზე ნაკლებით არის დამოკიდებული ერთმანეთისგან.

არაფინანსური რისკის კორექტირება

არაფინანსური რისკის კორექტირების საფუძველზე განსაზღვრულია იმ ანაზღაურების მოცულობა, რომელიც დასჭირდებოდა ინდივიდუალურ ემიტენტ საწარმოს არაფინანსური რისკის გაწვევისთვის. კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე ასახავს საწარმოს მიერ გაცემული ხელშეკრულებების დივერსიფიკაციიდან მიღებულ სარგებელს, იმგვარად, რომ აღნიშნული შესაბამეობა იმ ანაზღაურებას, რომელსაც ის მოითხოვდა და ასახავს რისკის იმ დონეს, რომელიც საწარმომ არ აიღო თავის თავზე.

კომპანიამ შეაფასა რისკის კორექტირება VaR მიდგომის გამოყენებით. კომპანია თავის გამოთვლებში იყენებს 85-იან ნდობის ინტერვალს.

მგრძნობელობის ანალიზი აჩვენებს, რომ ნდობის ინტერვალის 5%-იანი ზრდა გაზრდის არაფინანსური რისკისთვის რისკის კორექტირების მოცულობას 16 ათასი ლარით. ნდობის ინტერვალის 5%-იანი შემცირება შემცირებს რისკის კორექტირების მოცულობას 15 ათასი ლარით. შეფასებები და ძირითადი დამშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადასინჯვები აღიარებულია იმ პერიოდში, როდესაც შეფასებები გადაიხედება და ნებისმიერ მომავალ პერიოდებში, რომლებზეც ის გავლენას მოახდენს.

6 ფული საბანკო ანგარიშებზე

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ათასი ლარი		
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	45	87
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	3,445	2,322
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,490	2,409

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო.

7 საბანკო ანაბრები

ბანკებში განთავსებული თანხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	საბანკო ანაბარი	მისაღები პროცენტი	სულ
ბანკში განთავსებული თანხები აშშ დოლარში	11,030	179	11,209
ბანკში განთავსებული თანხები ლარში	2,036	170	2,206
სულ ბანკებში განთავსებული თანხები	13,066	349	13,415

ბანკებში განთავსებული თანხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	საბანკო ანაბარი	მისაღები პროცენტი	სულ
ბანკში განთავსებული თანხები აშშ დოლარში	10,031	126	10,157
ბანკში განთავსებული თანხები ლარში	1,386	86	1,472
სულ ბანკებში განთავსებული თანხები	11,417	212	11,629

საბანკო ანაბრები წარმოდგენილია საქართველოს ბანკებში მოკლევადიანი (სამი თვიდან ერთ წლამდე) და საშუალოვადიანი განთავსებებით, რომლებზეც ირიცხება 2.2%-დან 13%-მდე წლიური პროცენტი (2023: 2.2%-დან 13%-მდე). დარიცხული პროცენტის ოდენობაზე ინფორმაცია მოწოდებულია მე-17 განმარტებით შენიშვნაში. ბანკებში განთავსებული თანხები კლასიფიცირებულია, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას დეპოზიტები აქვს, არის სანდო.

8 სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები

8.1 სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები პორტფელის მიხედვით:

ათასი ლარი	2024			2023		
	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა	აქტივები	ვალდებულებები	წმინდა
ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	-	(165)	(165)	-	(207)	(207)
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	100	(85)	15	79	(91)	(12)
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები	-	(300)	(300)	-	(324)	(324)
სამშენებლო რისკების დაზღვევა	-	(46)	(46)	-	(86)	(86)
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	(34)	(34)	-	(45)	(45)
ტვირთების დაზღვევა	4	(13)	(9)	-	(3)	(3)
ქონების დაზღვევა	1	(3)	(2)	-	(20)	(20)
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	4	(1)	3	7	-	7
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	(37)	(37)	-	(18)	(18)
სახმელეთო გადაზიდვების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	(70)	(70)	-	(56)	(56)
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	-	(108)	(108)	-	(77)	(77)
სულ	109	(862)	(753)	86	(927)	(841)

8.1.1 მოძრაობა სადაზღვევო ხელშეკრულებებში

მოძრაობა სადაზღვევო ხელშეკრულებებში 2024 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024			
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებები			
ათასი ლარი	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	სულ
აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	86	-	-	86
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(412)	(474)	(41)	(927)
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(326)	(474)	(41)	(841)
სადაზღვევო შემოსავალი	3,826	-	-	3,826
მიღებული პრემია	(3,237)	-	-	(3,237)
ფულადი ნაკადები დაზღვევის შეძენიდან	176	-	-	176
დაზღვევის შეძენიდან მიღებული ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	(150)	-	-	(150)
დამდგარი ზარალი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	(528)	-	(528)
ზარალი და სხვა გადახდილი ხარჯები	-	185	-	185
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	-	4	4
რისკის კორექტირება	-	-	(16)	(16)
შემოსავალი სუბროგაციიდან	-	(56)	-	(56)
ფულადი ნაკადები სუბროგაციიდან	-	31	-	31
სუბროგაციის გაუფასურება	-	19	-	19
ვალუტა და სხვა ცვლილებები	60	13	-	73
საწევრო გადასახადის ამორტიზაცია	(239)	-	-	(239)
სავალდებულო დაზღვევიდან დამდგარი ზარალის ჩათვლა	(295)	295	-	-
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(185)	(515)	(53)	(753)
აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	109	-	-	109
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(294)	(515)	(53)	(862)

მოძრაობა სადაზღვევო ხელშეკრულებებში 2023 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023			
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებები			
ათასი ლარი	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	სულ
აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	14	-	-	14
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(455)	(396)	(39)	(890)
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(441)	(396)	(39)	(876)
სადაზღვევო შემოსავალი	4,291	-	-	4,291
მიღებული პრემია	(3,525)	-	-	(3,525)
ფულადი ნაკადები დაზღვევის შეძენიდან	268	-	-	268
დაზღვევის შეძენიდან მიღებული ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	(323)	-	-	(323)
დამდგარი ზარალი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	(1,229)	-	(1,229)
ზარალი და სხვა გადახდილი ხარჯები	-	797	-	797
წარსულ მომსახურებასთან დაკავშირებული ცვლილებები	-	-	30	30
რისკის კორექტირება	-	-	(32)	(32)
შემოსავალი სუბროგაციიდან	-	592	-	592
ფულადი ნაკადები სუბროგაციიდან	-	(459)	-	(459)
სუბროგაციის გაუფასურება	-	(7)	-	(7)
ვალუტა და სხვა ცვლილებები	19	(104)	-	(85)
საწევრო გადასახადის ამორტიზაცია	(283)	-	-	(283)
სავალდებულო დაზღვევიდან დამდგარი ზარალის ჩათვლა	(332)	332	-	-
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(326)	(474)	(41)	(841)
აქტივები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	86	-	-	86
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(412)	(474)	(41)	(927)

8.2 გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოქმნილი აქტივები და ვალდებულებები პორტფელის მიხედვით:

ათასი ლარი	2024			2023		
	აქტივი	ვალდებულება	წმინდა	აქტივი	ვალდებულება	წმინდა
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	52	-	52	49	-	49
სამშენებლო რისკების დაზღვევა	31	-	31	27	-	27
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	10	-	10	7	-	7
ტვირთების დაზღვევა	3	-	3	2	-	2
ქონების დაზღვევა	10	-	10	11	-	11
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	32	-	32	4	-	4
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	4	-	4	14	-	14
სამოგზაურო დაზღვევა	19	-	19	-	-	-
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	62	-	62	110	-	110
სულ	223	-	223	224	-	218

8.2.1 მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებებში

მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებებში 2024 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024			
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი აქტივი			
	დამდგარი სადაზღვევო პერიოდის აქტივი	მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	სულ
ათასი ლარი				
აქტივები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	124	100	-	224
ვალდებულებები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	124	100	-	224
გადაზღვეული პრემია	(646)	-	-	(646)
ფულადი ნაკადები გადაზღვევის საკომისიოდან	377	-	-	377
გადაზღვევის საკომისიოდან მიღებული ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	182	-	-	182
ვალუტა და სხვა ცვლილებები	(6)	1	-	(5)
გადაზღვევის აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა	131	(132)	-	(1)
გადაზღვევის წილი დამდგარ ზარალში	-	92	-	92
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	162	61	-	223
აქტივები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	162	61	-	223
ვალდებულებები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-

მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებებში 2023 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023			
	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმომდგომი აქტივი			
	დამდგარი სადაზღვევო პერიოდის აქტივი	მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	სულ
ათასი ლარი				
აქტივები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	234	8	-	242
ვალდებულებები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	234	8	-	242
გადაზღვეული პრემია	(732)	-	-	(732)
ფულადი ნაკადები გადაზღვევის საკომისიოდან	339	-	-	339
გადაზღვევის საკომისიოდან მიღებული ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	263	-	-	263
ვალუტა და სხვა ცვლილებები	(38)	2	-	(36)
გადაზღვევის აქტივების და ვალდებულებების გაქვითვა	58	(46)	-	12
გადაზღვევის წილი დამდგარ ზარალში	-	136	-	136
წმინდა აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124	100	-	224
აქტივები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	124	100	-	224
ვალდებულებები გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-

9 გაცემული სესხი

ათასი ლარი	დაფარვის ვადა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანია	31 მაისი 2025	1,968	2,035
		1,968	2,035
მინუს ზარალის რეზერვი		(95)	-
სულ გაცემული სესხი		1,873	2,035

2023 წლის 30 ნოემბერს კომპანიამ გასცა არაუზრუნველყოფილი სესხი 2 მილიონი ლარის ოდენობით შპს „სითი თრეველ ბათუმზე“ (დაკავშირებული მხარე). სესხის პროცენტად განისაზღვრა წლიური 20% და სესხის დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 31 მაისი (6 თვის ვადით). 2024 წლის 29 მაისს მხარეებს შორის გაფორმდა დამატებითი შეთანხმება სესხის პირობების ცვლილების შესახებ. ამ შეთანხმებით სესხის დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2025 წლის 31 მაისი.

10 აქტივი გამოყენების უფლებით

აქტივი გამოყენების უფლებით 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარებით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	შენიშვნა
1 იანვარი 2023	382
შემოსვლა	-
გასვლა	-
იჯარის მოდიფიკაცია	-
31 დეკემბერი 2023	382
შემოსვლა	-
გასვლა	-
იჯარის მოდიფიკაცია	163
31 დეკემბერი 2024	545
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2023	(264)
ცვეთის ხარჯი	(67)
ცვეთის გასვლა	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2023	(331)
ცვეთის ხარჯი	(71)
ცვეთის გასვლა	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2024	(402)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი 2023	118
31 დეკემბერი 2023	51
31 დეკემბერი 2024	143

11 სააქციო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალი შედგება განთავსებული 4,350,000 ცალი A კლასის აქციისაგან (სულ ნებადართული ოდენობა 4,350,000 ცალი), 1,650,000 ცალი AA კლასის აქციისაგან (სულ ნებადართული ოდენობა 1,650,000 ცალი) და 4,051,059 ცალი B კლასის აქციისაგან (სულ ნებადართული ოდენობა 9,000,000 ცალი). თითოეულის ნომინალური ღირებულება არის 1 (ერთი) ლარი (თანხა არ არის მოცემული ათასებში).

A კლასის 1 ცალი აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას. 1 ცალი AA კლასის აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას. B კლასის 1 აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას, თუმცა, B კლასის აქციათა მფლობელი არ მონაწილეობს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის, მისი უკან გამოწვევის/განთავისუფლების პროცესში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის A და AA კლასის აქციების მესაკუთრეები იყვნენ: სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია - 4,350,000 ცალი A კლასის და 1,650,000 ცალი AA კლასის აქციები (100%), ხოლო B კლასის აქციების მესაკუთრეები: სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია - 3,770,000 ცალი აქცია (93.061%), სს მეტრო ატლას ჯორჯია - 180,000 ცალი აქცია (4.443%), სს მეტრო ქონსტრაქშენ - 100,000 ცალი აქცია (2.468%) და სხვა ნომინალური მფლობელები (0.028%).

2024 წლის განმავლობაში კომპანიას აქციები არ გამოუშვია და არც აქციების გაყიდვა არ მომხდარა.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის აქციონერთა სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგნაირად.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია	97.2%	97.2%
სს მეტრო ატლას ჯორჯია	1.8%	1.8%
სს მეტრო ქონსტრაქშენ	1%	1%
	100%	100%

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს, რომელიც გაუნაწილებელია. 2024 და 2023 წლების განმავლობაში კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია.

12 იჯარა

იჯარები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ათასი ლარი		
მიმდინარე	80	53
გრძელვადიანი	65	-
	145	53

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი თბილისში. იჯარა არის ან არაგაუქმებადი, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფასურის გადახდის შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია კომპანიის საიჯარო საქმიანობის ხასიათი აქტივების გამოყენების უფლების ტიპის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარის რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი
შენობა	1	21 თვე

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ათასი ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	90	55

ფინანსური ხარჯები	10	2
	100	57
ორიდან ხუთ წლამდე		
საიჯარო გადახდები	68	-
ფინანსური ხარჯები	3	-
	70	-
წმინდა მიმდინარე ღირებულება	170	57

ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ყველაზე ადრეულ თარიღს, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილი მოიცავს როგორც პროცენტებს, ასევე ძირითად ფულად ნაკადებს.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)	9.72%	7.70%
6 თვეზე ნაკლები	45	37
6 თვიდან 1 წლამდე	45	18
1-5 წელი	68	-
	158	55

ცვლილებები კომპანიის საიჯარო ვალდებულებებში შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	იჯარა
1 იანვარი 2023	120
პროცენტის გადახდა	(7)
იჯარის ძირის გადახდა	(67)
პროცენტის დარიცხვა	7
31 დეკემბერი 2023	53
იჯარის მოდიფიკაცია	165
პროცენტის გადახდა	(5)
იჯარის ძირის გადახდა	(73)
პროცენტის დარიცხვა	5
31 დეკემბერი 2024	145

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები პრინციპალების წინაშე	796	800
სხვა ვალდებულებები	31	59
	827	859

14 სადაზღვევო შემოსავალი

ათასი ლარი

	2024 წელი	2023 წელი
ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	2,485	2,673
საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	760	879
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები	107	186
სამშენებლო რისკების დაზღვევა	40	44
საზღვაო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	87	76
ტვირთების დაზღვევა	13	90
ქონების დაზღვევა	47	54
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	18	12
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	11	19
საზღვაო გადაზიდვების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	2	1
სამოგზაურო დაზღვევა	-	1
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	256	256
	3,826	4,291

15 სადაზღვევო მომსახურების ხარჯი

სადაზღვევო მომსახურების ხარჯი 2024 წლის განმავლობაში, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი

	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	წმინდა რისკის კორექტირების ცვლილება	ამორტიზირებული აკვიზიციის ფულადი ნაკადები	შემოსავალი რეგრესიდან	წმინდა სადაზღვევო მომსახურების ხარჯი
ავტომობილტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	295	-	-	-	295
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	120	(3)	92	(37)	172
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები	-	(2)	10	-	8
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	50	4	3	-	57
ტვირთების დაზღვევა	-	11	-	-	11
ქონების დაზღვევა	3	-	7	-	10
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	24	2	-	-	26
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	19	-	2	-	21
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	17	-	36	-	53
	528	12	150	(37)	653

სადაზღვევო მომსახურების ხარჯი 2023 წლის განმავლობაში, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი

	დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა დაკავშირებული ხარჯები	წმინდა რისკის კორექტირების ცვლილება	ამორტიზირებული აკვიზიციის ფულადი ნაკადები	შემოსავალი რეგრესიდან	წმინდა სადაზღვევო მომსახურების ხარჯი
ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა	335	-	-	-	335
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	200	2	230	(53)	379
სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიები	537	-	28	(519)	46
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	77	-	-	-	77
ტვირთების დაზღვევა	28	-	11	-	39
ქონების დაზღვევა	-	-	10	-	10
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	27	-	-	-	27
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	12	-	2	-	14
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	13	-	42	(20)	35
	1,229	2	323	(592)	962

16 წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან

წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან 2024 წლის განმავლობაში, მოიცავს:

ათასი ლარი

	გადაზღვეული პრემია	გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი	გადაზღვევის წილი დარეგულირებულ და მოხსენებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალებში	წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	(308)	108	28	(172)
სამშენებლო რისკების დაზღვევა	(78)	6		(72)
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	(42)	15	37	10
ტვირთების დაზღვევა	(7)	3		(4)
ქონების დაზღვევა	(40)	13	3	(24)
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	(15)	5		(10)
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	(10)	3	17	10
სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	(1)	-		(1)
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	(145)	29	7	(109)
	(646)	182	92	(372)

წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან 2023 წლის განმავლობაში, მოიცავს:

ათასი ლარი

	გადაზღვეული პრემია	გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი	გადაზღვევის წილი დარეგულირებულ და მოხსენებულ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალებში	წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან
სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	(298)	137	55	(106)
სამშენებლო რისკების დაზღვევა	(41)	-	-	(41)
სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	(29)	10	35	16
ტვირთების დაზღვევა	(81)	25	30	(26)
ქონების დაზღვევა	(45)	19	-	(26)
მანქანა-დანადგარების დაზღვევა	(15)	3	-	(12)
პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	(16)	6	14	4
სახმელეთო გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	(8)	5	-	(3)
სხვა სახის პასუხისმგებლობის დაზღვევა	(199)	58	2	(139)
	(732)	263	136	(333)

17 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი

ათასი ლარი	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო შემოსავალი (საბანკო დეპოზიტი ლარი)	456	489
საპროცენტო შემოსავალი (საბანკო დეპოზიტი აშშ დოლარი)	518	353
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	398	35
სულ საპროცენტო შემოსავალი	1,372	877

საპროცენტო ხარჯი

ათასი ლარი	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო ხარჯი ფინანსური იჯარიდან	(5)	(7)
სულ საპროცენტო ხარჯი	(5)	(7)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,367	870

18 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათასი ლარი	2024 წელი	2023 წელი
ხელფასი და სხვა სარგებელი	896	762
საწევრო შენატანები	257	283
რეკლამის ხარჯი	4	187
ცვეთა და ამორტიზაცია	26	89
საზედამხედველო საფასური	38	43
კომუნალური ხარჯი	24	26
საკონსულტაციო ხარჯი	42	26
აუდიტის ხარჯი	28	27
კომუნიკაციის ხარჯი	17	9
ბანკის ხარჯი	4	5
სესხის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი	95	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	108	56
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,539	1,513

19 საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

ათასი ლარი	2024 წელი	2023 წელი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება		
ბანკებში განთავსებული თანხები	1,059	872
ფული და ფულის ეკვივალენტები	37	3
სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტები	69	251
სავაჭრო ვალდებულებები	-	13
	1,165	1,139
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი		
ბანკებში განთავსებული თანხები	(630)	(911)

ათასი ლარი

	2024 წელი	2023 წელი
ფული და ფულის ეკვივალენტები	(8)	(3)
სადაზღვევო და გადაზღვრის კონტრაქტები	(48)	(250)
სავაჭრო ვალდებულებები	-	(16)
	(686)	(1,180)
წმინდა მოგება (ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	479	(41)

20 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების თანახმად, მხარეები განიხილება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა, რომ გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე, ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, დაკავშირებულ მხარეებში შედიან აქციონერები, კომპანიის მენეჯმენტის წევრები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული და მათ მიერ კონტროლირებადი სხვა პირები და საწარმოები.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ანგარიშგების თარიღისთვის ჰქონდა შემდეგი დაუფარავი ნაშთები.

ათასი ლარი

ტრანზაქციები	2024 წელი	2023 წელი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
სადაზღვევო შემოსავალი	21	536
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	-	-
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	-	(560)
	21	(24)

ათასი ლარი

ბალანსი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	16
გაცემული სესხები	1,873	2,035
მოთხოვნები და ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	(15)	121
	1,858	2,172

ათასი ლარი

	2024	2023
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	145	125

21 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომელიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

თუ აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასება, მის მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

21.1 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

22 სადაზღვევო ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა მას უქმნის სხვადასხვა რისკებს და ეს საქმიანობა მოიცავს რისკების გარკვეული ხარისხის ან რისკების კომბინაციის ანალიზს, შეფასებას, მიღებას და მართვას. რისკის აღება არის ფინანსური ბიზნესის ძირითადი ნაწილი, ხოლო საოპერაციო რისკები ბიზნესში ყოფნის გარდაუვალი შედეგია. ამრიგად, კომპანიის მიზანია მიაღწიოს შესაბამის ბალანსს რისკსა და ანაზღაურებას შორის და მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე რისკის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეებია სადაზღვევო რისკი და ფინანსური რისკი, რომელიც მოიცავს ლიკვიდურობის რისკს, საბაზრო რისკს და საკრედიტო რისკს.

22.1 სადაზღვევო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის აღება, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, რომლებიც ექვემდებარებიან რისკს. ასეთი რისკი შეიძლება დაუკავშირედეს ყველა სადაზღვევო სახეობას. კომპანია დგას გაურკვევლობის წინაშე სადაზღვევო კონტრაქტიდან გამომდინარე ზარალების ვადების და სიმძიმის მიხედვით. ძირითადი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს დადგენილი სტატისტიკური საშუალებებით შეფასებული რიცხვისა და ზომისგან.

არა-სიცოცხლის სადაზღვევო პოლისებიდან გამომდინარე რისკი, როგორც წესი, მოიცავს თორმეტჯიან პერიოდს. სტანდარტული სადაზღვევო კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ცვლილებებიდან შესაბამის საკანონმდლო გარემოში, დაზღვეულის ქცევის ცვლილებებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ტერორისტული აქტებიდან. ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშობა ეპიდემიებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ჯანდაცვის ხარჯების ზრდიდან.

სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე კომპანია დგას საბაზრო რისკის წინაშე. კომპანია სადაზღვევო რისკს მართავს დადგენილი სტატისტიკური საშუალებების გამოყენებით. რისკების კონცენტრაციის გადაზღვევით, ანდერაიტინგის ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, ფასწარმოქმნის პრინციპებით და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

22.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

ათასი ლარი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე	3,490	2,409
ბანკში განთავსებული თანხები	13,415	11,629
გაცემული სესხები	1,873	2,035
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	18,778	16,073

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

22.3 სავალუტო რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. ვალუტის გაცვლითი კურსის შემოქმედება წარმოქმნილია კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან, საბანკო ანაბრებიდან და საიჯარო ვალდებულებებიდან, რომლებიც ძირითადად არის დოლარში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ათასი ლარი	დოლარი
2024	
ფინანსური აქტივები	
ბანკებში განთავსებული თანხები	11,209
მოთხოვნები გადაზღვევის კონტრაქტებიდან	223
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	45
	11,477

ათასი ლარი	დოლარი
2023	
ფინანსური აქტივები	
ბანკებში განთავსებული თანხები	10,157
მოთხოვნები გადაზღვევის კონტრაქტებიდან	224
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(13)
ფული და ფულის ეკვივალენტები	87
	10,455

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით. ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით, მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	დოლარი	დოლარი
	2024	2023
მოგება-ზარალი	1,722	1,568

22.4 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2024

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები		-	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	827	-	827
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	862	-	862
საიჯარო ვალდებულებები	145	-	145
	1,834	-	1,834

2023

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები		-	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	859	-	859
ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტებიდან	927	-	927
საიჯარო ვალდებულებები	53	-	53
	1,839	-	1,839

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულადი რესურსები და საოპერაციო აქტივები აღემატება მიმდინარე ფულადი გასავლის მოთხოვნებს.

23 კაპიტალის მართვა

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება საქართველოში მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებს. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზირებისა და მონიტორინგის წესებს, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუნარიობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ღირებულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

მარეგულირებლის მოთხოვნა

საქართველოში სადაზღვევო სექტორი რეგულირდება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. „ზედამხედველობის სამსახური“ სადაზღვევო კომპანიებს უწესებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა.

„ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 4,200 ლარზე (მოცემულია ათასებში) ნაკლები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №45-ის მიხედვით საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა შეადგენდეს: ა) სიცოცხლის დაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა: 4,800 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან, გ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან და დ) გადაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან. თანხა განთავსებულ უნდა იქნას ნაღდი ფულის, ფულთან გათანაბრებული სხვა საშუალებების და ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების სახით.

კომპანია ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.

კომპანია ახორციელებს კაპიტალის ოდენობის რეგულარულ მონიტორინგს, რათა გამორიცხოს მოთხოვნილი კაპიტალის დეფიციტი. იმისათვის, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ან შეცვალოს კაპიტალის სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს ცვლილება ან დივიდენდის ოდენობაში ან მოხდეს საკუთარი კაპიტალის გაზრდა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან და წინა წელთან შედარებით არ ჰქონია ადგილი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მიდგომების და პროცესების ცვლილებას.

საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა ან 4,200 ლარი (მოცემულია ათასებში) 2018 წლის 31 იანვრიდან პერიოდის განმავლობაში. 2021 წლის 31 დეკემბრიდან კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ლარზე ნაკლები. „საზედამხედველო კაპიტალი“ განისაზღვრება ევროკავშირის მიერ დადგენილი ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მოკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ №16 ღირებულების შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნებს.

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგებაში განმარტებით შენიშვნას.



**სს „გრინ დაზღვევა საქართველო“
მმართველობითი ანგარიშგება**

2024 წლის საქმიანობის მიმოხილვა

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ მიზნად ისახავს, შექმნას კონკურენტული, მომხმარებელზე ორიენტირებული სადაზღვევო პროდუქტები და სადაზღვევო მომსახურების გაწევის მოქნილი გზები.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

- ✓ კომპანია ახორციელებს მაღალი ხარისხის, სადაზღვევო მომსახურებას და მუდმივად ცდილობს არ ჩამორჩეს ბაზარზე შექმნილ სამომხმარებლო ამოცანებს.
- ✓ კომპანია იყენებს და ნერგავს თავისი საქმიანობის სფეროში ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე საუკეთესო პრაქტიკით რეკომენდირებულ მეთოდებს.
- ✓ კომპანია ითვალისწინებს სადაზღვევო ბაზრის კონიუნქტურას და ინტენსიურად მუშაობს ახალი პროდუქტების შემუშავებისა და დანერგვის კუთხით.
- ✓ კომპანია მომხმარებლებთან და პარტნიორებთან ურთიერთობას წარმართავს ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე.
- ✓ კომპანია ზრუნავს კლიენტებსა და პარტნიორებთან გრძელვადიანი თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე
- ✓ კომპანია ზრუნავს თანამშრომლების პროფესიული ზრდის შესაძლებლობაზე.

ამოცანები

- კომპანია მიზნად ისახავს სადაზღვევო მომსახურების ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების შექმნასა და შეთავაზებას. ასევე, არსებული ბიზნეს მიმდინარეობის დახვეწასა და გაუმჯობესებას.
- კომპანიის მიზანია განახორციელოს თავისი ბიზნეს სტრატეგია სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან და წარმოქმნილ საკითხებთან მიმართებაში.

კომპანიის შესახებ

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ ბაზარზე 2013 წლიდან არსებობს, თუმცა 2020 წლის 27 თებერვლამდე ცნობილი იყო როგორც სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია კამარა“, რომელიც დაარსდა 2013 წელს 100% -იანი თურქული ინვესტიციით. კომპანია სთავაზობს მომხმარებელს სადაზღვევო მომსახურების ფართო არჩევანს. კომპანიას სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ“ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია მიენიჭა 2013 წლის 11 ოქტომბერს, ლიცენზიის სერტიფიკატის ნომერია # NL013, ხოლო 2020 წლის 02 ნოემბერს სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია # L019.

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“-ს მმართველობა ხორციელდება აქციონერთა კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს - დირექტორების მეშვეობით. ორგანიზაციული სტრუქტურა, არის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. კომპანიის მმართველობა იაზრებს, რომ სწორად მოწყობილ სტრუქტურას შეუძლია კომპანიის მომგებიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. მართვის პროცესში გამჭვირვალობა და ინფორმაციის ღიაობა არის კომპანიის მყარი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი.

კომპანიის მიზანია მაღალი ხარისხის მომსახურებით, მოქნილი პროცედურებისა და თითოეული დაზღვეულის მოთხოვნებზე მორგებული სადაზღვევო პროდუქტების მიწოდებით მაქსიმალური კომფორტი შეუქმნას მომხმარებლებს. მომხმარებელზე ორიენტირება და ინოვაციური მიდგომების გამოძახილია ექსკლუზიური პროდუქტი - მოტოციკლის დაზღვევის პაკეტი, აღნიშნულ პროდუქტს საქართველოს მასშტაბით ძირითადად გრინ დაზღვევა საქართველო სთავაზობს მომხმარებელს.

2020 წლის 24 დეკემბრიდან სს "გრინ დაზღვევა საქართველოს" B კლასის 9,000,000 აქცია (ISIN GE1100003965) დაშვებულ იქნა საქართველოს საფონდო ბირჟის B კატეგორიის ლისტინგში და სავაჭრო სისტემაში. აქციებს მიენიჭა საბირჟო კოდი (ტიკერი) - GIGB.

ს.ს. „გრინ დაზღვევა საქართველოს“ მოთხოვნის თანახმად, 2024 წლის 30 დეკემბერს ს.ს. საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით მოიხსნა სს „გრინ დაზღვევა საქართველოს“ (ს/ნ 404990435) B კლასის აქციები (ISIN: GE1100003965, საბირჟო კოდი: GIGB) ვაჭრობიდან და განხორციელდა დელისტინგი, „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ“ დებულების“ 5.12.8 და 6.10.2 პუნქტების შესაბამისად.

კომპანიისთვის აქტუალურია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხების გააქტიურება. სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებებში და ყოველთვის მზადაა გამოეხმაუროს ქვეყანაში აქტუალურ ღონისძიებებს.

რას ვსაქმიანობთ

სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ძირითად პროდუქტებს:

- ავტომობილის დაზღვევა;
- მოტოციკლის დაზღვევა;
- ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა დაზღვევა მესამე პირის წინაშე;
- მძღოლის, მგზავრების ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან;
- მანქანა-დანადგარების დაზღვევა;
- ფინანსური რისკების დაზღვევა;
- სამშენებლო რისკების დაზღვევა;
- სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა:
 - საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - კონტეინერების დაზღვევა;
- ტვირთის დაზღვევა;
- ქონების დაზღვევა:
 - ფიზიკური პირების ქონების დაზღვევა;
 - კორპორატიული ქონების დაზღვევა;
- სამშენებლო რისკების დაზღვევა;
- პასუხისმგებლობის დაზღვევა:
 - სამოქალაქო (ზოგადი) პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - დაცვის სამსახურის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
 - აუდიტორთა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- სამოგზაურო დაზღვევა

- საზღვარგარეთ მოგზაურთა დაზღვევა;
- საქართველოში მოგზაურთა დაზღვევა.
- მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელების მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა
- სიცოცხლის დაზღვევა

კომპანიამ 2020 წლის 02 ნოემბრიდან ახალი სადაზღვევო პროდუქტი შესთავაზა მომხმარებელს - სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მოპოვების შემდეგ, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ საქმიანობს არა მარტო არასიცოცხლის დაზღვევის სეგმენტში, არამედ იგი უფლებამოსილია დააზღვიოს დაინტერესებული პირის სიცოცხლე, როგორც დამზღვევის მიერ არჩეული სადაზღვევო ლიმიტით, ასევე საბანკო კრედიტის შემთხვევაში სესხის მოცულობის შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების ნებადართული კაპიტალი შეადგენს 15 000 0000 (თხუთმეტი მილიონ) ლარს.

საზოგადოების გამოშვებული აქციები დაყოფილია შემდეგი კლასის აქციებად:

- **A კლასი** - 4,350,000 (ოთხი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. **A კლასის 1** (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას;
 - **AA კლასი** - 1,650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი ათასი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი. **AA კლასის 1** (ერთი) აქცია უზრუნველყოფს 15 (თხუთმეტი) ხმის უფლებას.
 - **B კლასი** - 9,000,000 (ცხრა მილიონი) ცალი აქცია, ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 (ერთი) ლარი.
- B კლასის 1** (ერთი) აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა:

- **A კლასი** - 4, 350,000 (ოთხი მილიონ სამასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- **AA კლასი** - 1, 650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- **B კლასი** - 9,000,000 (ცხრა მილიონი) ცალი აქცია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა:

- **A კლასი** - 4, 350,000 (ოთხი მილიონ სამასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- **AA კლასი** - 1, 650,000 (ერთი მილიონ ექვსასორმოცდაათი) ცალი აქცია;
- **B კლასი** - 4,051,059 (ოთხი მილიონ ორმოცდათერთმეტი ათას ორმოცდაცხრამეტი) ცალი აქცია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის **A და AA კლასის** აქციების მესაკუთრეს წარმოადგენდა:

- ❖ (100%) სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“:
- A კლასი 4,350, 000 ცალი აქცია;
- AA კლასი - 1,650,000 ცალი აქცია.

B კლასის აქციების მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ:

- ❖ (93.062%) სს „მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია“
B კლასი - 3,770,000 ცალი აქცია;
- ❖ (4.443%) სს „მეტრო ატლას ჯორჯია“
B კლასი - 180,000 ცალი აქცია;
- ❖ (2.468%) სს „მეტრო ქონსტრაქშენ“
B კლასი - 100,000 ცალი აქცია.
- ❖ (0.028%) - განთავსებული B კლასის აქციების ნომინალური მფლობელები/მესაკუთრეები.
B კლასი - განთავსებული - 1,059 ცალი აქცია.

შედეგები

2024 წლის 01 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით, ს.ს. „გრინ დაზღვევა საქართველო“ აგრძელებდა სოციალური მედიის საშუალებით, სარეკლამო კამპანიებისა და პოსტების გამოყენებით, მიეწოდებინა ინფორმაცია სამიზნე აუდიტორიისთვის, სადაზღვევო პროდუქტების შესახებ. ამავე არხების საშუალებით, ინფორმირებული ჰყავდა როგორც მისი ლოიალური მომხმარებლები, ასევე ცდილობდა მიწვდენოდა პოტენციური მომხმარებლებსაც.

2024 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში მომზადდა ვიდეო რგოლი მოტოციკლის დაზღვევის შესახებ და გაეშვა სარეკლამო კამპანია სოციალური მედიის დახმარებით. ვიდეო კონტენტმა უფრო მეტად მიიქცია მომხმარებლის ყურადღება და უფრო მეტი რაოდენობის ადამიანს მიწვდა სოციალურ მედიაში, ვიდრე სხვა სტანდარტული კონტენტი. პარალელურად, ამავე თემაზე (მოტოციკლის დაზღვევის სეზონის დაწყება), შეიქმნა და დამზადდა გარე სარეკლამო ბანერი (ბილბორდი). ტრადიციული რეკლამის საშუალებით, ბრენდის სახელი და კონკრეტული პროდუქტის რეკლამა მიწვდა კიდევ უფრო დიდ აუდიტორიას, რაც აისახა კომპანიის მიმართ მათი ინტერესის გაზრდაზე. რეკლამების ეს სერია ემსახურებოდა პოტენციური მომხმარებლებისთვის კომპანიის სახელის და მისი სადაზღვევო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწვდენას.

კომპანია, 2024 წლის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღესა და დაზღვევის დღეს (15 მარტი და 2 მაისი) შესაბამისი კონტენტით გამოეხმაურა სოციალური მედიის არხებზე.

ცნობადობის გაზრდის პარალელურად, 2024 წელს სს. „გრინ დაზღვევა საქართველო“-სთვის აქტუალური იყო მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის (SDG) და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხების გააქტიურება.

2024 წლის იანვარში შემუშავდა სტრატეგია, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა კომპანიის მდგრადი განვითარების და სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, როგორებიც არის - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა, გენდერული თანასწორობა, ადამიანთა უფლებები და ანტიდისკრიმინაცია, უსაფრთხოება და სხვა.

გარემოს დაბინძურების შესამცირებლად და ნარჩენების სეპარაციისთვის, სს. „გრინ დაზღვევა საქართველო“ 2020 წლიდან ახორციელებს ქაღალდის შეგროვების პრაქტიკას. აღნიშნულ გარემოსდაცვითი პრაქტიკის განხორციელებას 2024 წელს დაემატა პლასტმასის შეგროვებაც, მისი შემდგომი გადამუშავებისთვის.

კომპანიას, საკუთარი სოციალური მედიის არხებით, შეაქვს წვლილი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში. კერძოდ, სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ შეუერთდა დაუნის სინდრომის დღისადმი მიძღვნილ ე.წ. „წინდების“ აქციას, აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეს და დედამიწის დღეს - გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

2024 წელს კომპანიამ აქტიურად დაიწყო არაპირდაპირი გაყიდვების გზით, სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება უნივერსიტეტებისთვის და დააზღვია სტუდენტები „სიცოცხლისა და უბედური შემთხვევის“ სადაზღვევო პროდუქტით. აღნიშნული საქმიანობა, წლის ქრილში, მისი ზარალიანობისა და მოზიდული პრემიის გათვალისწინებით შეფასდა, როგორც ჯანსაღი მიმართულება და შესაბამისად, კომპანიას 2025 წელს დაგეგმილი აქვს ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობით და პორტფელის წილის ზრდა.

კორპორაციული კულტურა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, სს. გრინ დაზღვევა საქართველომ თანამშრომლებისთვის უზრუნველყო საჭირო პროფესიული ტრენინგების, ლექციების, კურსებისა და გამოცდების ჩატარება/დაფინანსება, რაც იწვევს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას და დადებითად აისახება კომპანიის მუშაობაზე.

კომპანიაში შექმნილია დისკრიმინაციისაგან დაცული და გენდერულად დაბალანსებული სამუშაო გარემო. კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებს მშვიდი გარემოს შექმნას და გუნდური სულისკვეთების გაძლიერებას. თანამშრომელთა პროდუქტიულობისა და კონცენტრაციის გასაზრდელად, სტრესის შესამსუბუქებლად და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის საოფისე გარემოში დაემატა ცოცხალი მცენარეები. ამასთან, როგორც გასულ წლებში, 2024 წელსაც განხორციელდა თანამშრომელთა წამახალისებელი და გუნდური აქტივობები, რაც მიზნად ისახავდა მათ უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობასა და გუნდურობის ქცევის გამომუშავებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიები

კომპანიის ძირითადი (სადაზღვევო) საქმიანობის განხორციელებისას - სსიპ „დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაციული და ტექნოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, 2024 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტი და დამტკიცდა ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა.

ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

2024 წლის განმავლობაში კომპანიის სადაზღვევო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3,826 ათასი ლარი, სადაზღვევო საქმიანობიდან მიღებულმა ხარჯმა შეადგინა 653 ათასი ლარი.

კორპორაციული მართვა

კომპანიის კორპორაციული მართვის პრინციპები სრულად შეესაბამება ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

კომპანიის სტრუქტურა და მმართველობითი რგოლი მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე. კომპანიის სტრუქტურა შედგება პორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორებს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

კომპანიაში ნებისმიერი სამსახურისთვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც თავის მხრივ იყოფა თითოეული თანამდებობისთვის მიკუთვნებული ფუნქცი-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურების აღწერილობით. სტრუქტურის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და შესაბამის ინსტრუქციებში ასახვას, რათა მოხდეს შესრულებული სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის ბრძანებით N 172/04 დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის“ შესაბამისად, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ უზრუნველყო ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ხოლო დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიან შესრულებას.

„საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა:

1) ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი, რომლითაც დაინერგა თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტები და უზრუნველყო აღნიშნული კოდექსის გამოქვეყნება კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით;

2) დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და ამოცანები და მათი შესრულების წესი. კომპანიამ უზრუნველყო აღნიშნული კოდექსის გამოქვეყნება კომპანიის ვებ-გვერდის საშუალებით;

3) დებულება სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ, რომელიც ავსებს სამეთვალყურეო საბჭოსთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დაკავშირებით კანონში და კომპანიის წესდებაში მოცემულ პუნქტებს. დებულება დეტალურად განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს და განხორციელების წესს.

4) დებულება კორპორაციული მდივნის შესახებ, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კორპორაციული მდივანი.

„საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის“ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა სააქციო საზოგადოება „გრინ დაზღვევა საქართველოს“ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის (SDG) და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) 2024 წლის სტრატეგია, რომლითაც განისაზღვრა კომპანიის მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები.

კომპანიამ 2023 წელს უზრუნველყო 04.08.2021-ის "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობა, კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის და სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილება.

აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

აქციონერთა წლიური საერთო კრება არის აქციონერთა სავალდებულო ყოველწლიური შეკრება. აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას აქციონერებისთვის კომპანიის საქმიანობის შედეგების და სტრატეგიის შესახებ. ხმის უფლებების მქონე აქციონერები ხმას აძლევენ ისეთ აქტუალურ საკითხებზე,

როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ანაზღაურების განსაზღვრა, დივიდენდის გადახდა და გარე აუდიტორების შერჩევა.

აქციონერთა მორიგი საერთო კრება მოიწვევა ყოველწლიურად სამეურნეო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვისა, რომელზეც განიხილება საზოგადოების წლიური შედეგები და წინამდებარე წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხები. სხვა შემთხვევაში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება გენერალური დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში აქციონერთა მოთხოვნით. საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – გენერალური დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევენ საერთო კრება.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- მიიღოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში; მიიღოს გადაწყვეტილება წესდების ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და დამატებითი აქციების გამოშვების, პრივილიგირებული აქციებისა თუ აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ;
- მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);
- მიიღოს ან უარყოს გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს/გაათავისუფლოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან; (აღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ (A) და (AA) კლასის აქციონერ(ებ)ის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას)
- დაამტკიცოს გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- აირჩიოს აუდიტორი;
- მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს ან აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 3 (სამი) წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. ამასთანავე ერთი და იმავე პირის განმეორებით არჩევა შეუზღუდავია. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩია სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საზოგადოების ღირეპტორი.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციები

სამეთვალყურეო საბჭო:

- კონტროლს უწევს ღირეპტორების საქმიანობას;
- ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ღირეპტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების საღარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- იწვევს აქციონერთა საერთო კრებას, თუ ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები;
- განიხილავს წლიურ ანგარიშებს და მოგების განაწილების წინადადებას;
- ნიშნავს გენერალურ ღირეპტორს და ღირეპტორებს, ასევე, საჭიროებისამებრ, მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.
- ნიშნავს/ათავისუფლებს საზოგადოების შიდა აუდიტორს/შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს.
- ამტკიცებს შიდა აუდიტის წლიურ სამოქმედო გეგმას და ახორციელებს ანგარიშების მოსმენას.

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- საზოგადოების განვითარების სტრატეგიის და ბიზნეს გეგმის დადგენა, წლიური ბიუჯეტის მიღება;
- ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება წინა კალენდარული წლის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 30%-ს; დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და ხელმძღვანელი პირების ვალდებულებათა უზრუნველყოფა;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება წინა კალენდარული წლის დასასრულისთვის არსებულ საზოგადოების საბალანსო ღირებულების 30%-ს;
- იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და ღირეპტორების კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შესაბამისი შეტყობინება), სულ ცოტა რვა დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე სამეთვალყურეო

საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იყვნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით.

ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორები

საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს - დირექტორები. საზოგადოების დირექტორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ შესაბამისობის კრიტერიუმებს. საზოგადოებას ჰყავს 3 (სამი) დირექტორი, რომლებიც ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგენენ საზოგადოებას წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში, ამავე წესდებით განსაზღვრული მუხდუდვების გათვალისწინებით.

დირექტორების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად: დირექტორების უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. ამასთანავე დირექტორების განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

საზოგადოების გენერალური დირექტორი საზოგადოების მთავარი აღმასრულებელი პირია. საზოგადოების გენერალურ დირექტორს აქვს სრული ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

აუდიტის კომიტეტი

2020 წელს გრინ დაზღვევა საქართველომ აქციები განათავსა საქართველოს საფონდო ბირჟაზე, რითიც გახდა პირველი სადაზღვევო კომპანია საქართველოში რომელიც დაშვებულ იქნა საქართველოს საფონდო ბირჟის B კატეგორიის ლისტინგში და სავაჭრო სისტემაში.

გრინ დაზღვევა საქართველომ, როგორც ანგარიშვალდებულმა საწარმომ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის დაცვით, შექმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობას, უზრუნველყოფს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობას და შიდა აუდიტის დამოუკიდებლობას, წარმართავს გარე აუდიტორთან ურთიერთობას.

აუდიტის კომიტეტი დაკომპლექტებულია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია შიდა კონტროლის ფუნქციების შესრულების მონიტორინგზე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების დაგეგმვასა და ზედამხედველობაზე, გარე დამოუკიდებელ აუდიტორებთან კომუნიკაციაზე. კომიტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს სამეთვალყურეო საბჭოს შიდა კონტროლის მექანიზმების შესაძლო სისუსტეზე.

აუდიტის კომიტეტი აგრეთვე ზედამხედველობას უწევს კომპანიის შესაბამისობას კორპორაციული მართვის, მოსყიდვისა და კორუფციის თავიდან აცილების, ინტერესთა კონფლიქტისა და გამჟღავნების თაობაზე არსებულ პოლიტიკებსა და პროცედურებთან. კომიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს.

2023 წელს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცდა დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა, რომ აუდიტის კომიტეტს აქვს განსაკუთრებული როლი დაადასტუროს, რომ უზრუნველყოფილია აქციონერთა ინტერესების დაცვა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და კომპანიის შიდა კონტროლის მხრივ. აუდიტის კომიტეტმა უნდა შეასრულოს ეს ფუნქცია დირექტორებისგან დამოუკიდებლად. დებულება აუდიტის კომიტეტის შესახებ დეტალურად განსაზღვრავს აუდიტის კომიტეტის ძირითად დანიშნულებასა და ვალდებულებებს, აუდიტის კომიტეტის შემადგენლობას და აუდიტის კომიტეტის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის ვალდებულებას კომპანიის მხრიდან.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიის მიზანია დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამოიცილოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევები. ამ მიზნით სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ მოქმედებს დამტკიცებული ინსტრუქციით „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარების, რისკის შემცველი გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის შესახებ“.

აღნიშნული ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის N1, N2, N3, N4, N5 ბრძანების, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციებისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების შესაბამისად სადაზღვევო კომპანიის მიერ პრევენციული ღონისძიებების გატარების, რისკის შემცველი გარიგების თაობაზე ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის, აგრეთვე, ინსტრუქციის შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელების წესს.

კომპანიის სხვადასხვა პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და შესრულება. ამ კუთხით კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვას უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისგან.

კომპანიამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, უზრუნველყო შესაბამისი ცვლილებების ასახვა კომპანიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკაში და შეასრულა ახალი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის დანიშნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა

კომპანიას დამტკიცებული აქვს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შიდა პოლიტიკა და სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინსტრუქცია. სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შიდა პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მომხმარებელთა უფლებების შიდა პოლიტიკის მისიას, მოვალეობებს, უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას.

კომპანიის მიერ სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინსტრუქციაში დეტალურად და ამომწურავად არის გაწერილი ყველა ის ეტაპი, რომელსაც გაივლის კომპანიის წინაშე გაცხადებული ნებისმიერი სახის პრეტენზია.

დოკუმენტში მკაცრადაა რეგლამენტირებული პრეტენზიის დაფიქსირების, შესწავლისა და განხილვის, ასევე პრეტენზიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მხარისადმი გაცნობის პროცედურა და ვადები.

შიდა აუდიტის პოლიტიკა

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპანიას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს, ასევე, შიდა აუდიტის სამსახურის პოლიტიკა და შიდა აუდიტორული შემოწმების ჩატარების წესი.

შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შეფასება საოპერაციო ეფექტიანობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების გაუმჯობესების მიზნით. კომპანიის მიზანია შიდა აუდიტის წარმოებით კომპანიის მიმდინარე საქმიანობის შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მართებულობის დასადგენად. ამ საქმიანობის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება, სამართლებრივი აქტების, შიდა პროცედურების/წესების დაცვის კონტროლი და მართვის შიდა სისტემების შეფასება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა

კომპანიამ დაამტკიცა „ინფორმაციული ტექნოლოგიების IT პოლიტიკა“, რომელიც აღწერს პრინციპებს, სტანდარტებსა და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის IT რესურსების ეფექტურ, უსაფრთხო და პასუხისმგებლიან გამოყენებას. „IT პოლიტიკა“ მიზნად ისახავს მონაცემებისა და IT აქტივების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვას.

სამომავლო გეგმები

2025 წელს ს.ს. „გრინ დაზღვევა საქართველო“ გააგრძელებს მარკეტინგულ აქტივობებს ბრენდის პოპულარიზაციის მიზნით. შესთავაზებს არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს სხვადასხვა სახის აქციებსა და სიახლეებს. იმუშავებს მომხმარებლების ინტერესის, მათი ლოიალობისა და სანდოობის გაზრდაზე.

ცნობადობის გაზრდის პარალელურად, 2025 წელს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა და შესაბამისი რესურსი მოხმარდება ისეთ მარკეტინგულ აქტივობებს, როგორიცაა გარემოსდაცვითი და ინკლუზიური ცნობიერების ამაღლება, ამასთან, კომპანია აქტიურად გააშუქებს საინფორმაციო სივრცეში აღნიშნულ საკითხებს და აწარმოებს სარეკლამო კამპანიებს, რაც დადებითად აისახება კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციაზე.

2025 წელს ს.ს. „გრინ დაზღვევა საქართველო“-სთვის აქტუალური იქნება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის (SDG) და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) საკითხების გააქტიურება. კომპანიისათვის განისაზღვრება პრიორიტეტული მიმართულებები - მდგრადი მოხმარება და წარმოება, გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა, გენდერული თანასწორობა, ადამიანთა უფლებები და ანტიდისკრიმინაცია, უსაფრთხოება და სხვა.

გასული წლების მსგავსად, კომპანია 2025 წელსაც ჩართული იქნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღისადმი (15 მარტი) და დაზღვევის დღისადმი (2 მაისი) მიძღვნილ ღონისძიებებსა და კამპანიებში. შესაბამისი კონტენტით გამოეხმაურება სოციალური მედიის არხებზე. ასევე, შეუერთდება დაუნის სინდრომის სართაშორისო დღის აღნიშვნას (21 მარტი), ჩართავს თანამშრომლებს გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით დაგეგმილ დასუფთავების აქციაში (5 ივნისი) და განახორციელებს სხვა სოციალურ აქტივობებს. ამასთან, მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად, დაგეგმილია შესაბამისი აქტივობები - გარემოს დაბინძურების შესამცირებლად და ნარჩენების სეპარაციისთვის.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, კომპანია გააგრძელებს მუშაობას თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდასა და მათ კარიერულ განვითარებაზე. ტრენინგებისა და სწავლის დაფინანსება უზრუნველყოფს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და მოტივაციის შენარჩუნებას. ეს კი ხელს შეუწყობს კომპანიაში პოზიტიური გარემოს შექმნას და დადებითად აისახება მის მუშაობაზე.

გენერალური დირექტორი

ვაკენტურაძე

2025 წლის 17 მარტი



ფინანსური დირექტორი

ლევან ულიაური

2025 წლის 17 მარტი